

3
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„... საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, გან-
 მტკიცებენ და ავითარებენ მზერ მუდმივობას დიდ ჩინულ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის უველა ქვ-
 ენის მშრომელებთან, მეგობრულ კავშირს კაბიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან
 რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის...“

26.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური
 კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტროს საბჭოსა და სსრ კავშირის
 უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიზიარებით.



დაუნდობელი, ვერავი, მტერს ემეგობრა სიკვდილი,
ეგონა: ჩვენც დაეხვდებოდით უძღური, ღონებისდილი,
ეგონა: შურისძიების ჟამიც იხელთა, იდროვა,
მაგრამ მოსტყუვდა: წუხილმა ჩვენ უფრო შეგვამჭიდროვა.

უფრო გავმაგრდით, გავკაყდით, ნაღველი ცეცხლად ენთება
მზე გვანუგეშებს! ყოველდღე მშვიდობის დილა თენდება.
სტალინის თანამებრძოლებს წინ მიაქვთ დროშა წითელი,
დე, გუგუნებდეს ხალხის ზღვა! დე, ძრწოდეს უოლსტრიტეც

**მშვიდობისათვის შეტანილ ხალხთა ერთიანობა
გულის განზობი ღაბავთა ხალხის მტრებისათვის.**

...დენინისა და სტალინის სახელები პარტია, ღვი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა, უძველესი, მძვინვარეობისა, მუდმივი წინააღმდეგობისა და მხარდაჭერის პირობებში ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ჩინელი ხალხისა და ჩინეთის მთავრობის მხრივ, ჩინელი ხალხი, უძველესი, მუდმივი და უაღრესად მტკიცე იქნება ღვი საბჭოთა ხალხის გვერდით, გააძლიერებს და განამტკიცებს მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, გააძლიერებს თავის სიხშირეს, გააორგულებს თავის ღონისძიებებს ომის პროვოკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ბოლომდე იბრძოდება საბჭოთა და ჩინელი ხალხების ძირითადი ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის...“

ბაო ჯი-შუნი

... ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი იოსებ ბუხარინის-მე სტალინის ხსოვნის აღსანიშნავად კიდევ უფრო მშიდროვ დაჩაბნავს თავის რიგებს, რათა ყველა მტრისაგან დაიცავს მშვიდობის ერთობლივი მშენებლობა და კიდევ უფრო მტკიცე წაივიდოს წინ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზით...“

მონტალკაპონე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია

... ჩვენ ვერ შეგვიძინებს ჩვენს წინააღმდეგ მომართული ვერაფერი დეცია და შევიშროება. ჩვენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სტალინის ხსოვნის გაფორმების რა ჩვენს ღონისძიებებს, რათა ვაფორთიანოთ აშერაკის ხალხი-ბანაკები და თეორეტიკონები, რათა ხელი შეუვლით ურატორების შეატომე მანიაკებს სისხლის მორევი ჩაახარონ ვაკობრიობა, რათა ჩავეუშოთ მსოფლიო ბატონობის დამყარების მათი ფაშისტური გეგმები...“

მონტალკაპონე ვედავის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია

... იტალიელი კომუნისტები, რომლებიც ღვიმე და მშენებელი არიან, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები გაუყოფელია ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საქმისაგან, კვლავ აფასებენ თავიანთ თავგებულებას — მსოფლიო ომის იმპერიალისტი გამაღრმავლები და მტრული ომის კავშირის ხალხთა თანდასწრებით და მსოფლიო მშვიდობის წინააღმდეგ, დაე გაიფიქროს ომის იმპერიალისტი გამაღრმავლები და ჩვენს ქვეყანაში მათი დამკვიდრების იღუპი. იტალიელი ხალხი არსოვს არ იომებს საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნის, დენინ-სტალინის ქვეყნის ხალხთა წინააღმდეგ...“

მონტალკაპონე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაცია

... სტალინი იყო მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, მტკობარი, მშა. იგი იყო და დარჩება ჩვენს ბელადი და მსაგალითად ყველა ჩვენთაგანისათვის, საფრანკეთის კომუნისტები და მშრომელი მუდამ ინტელექტუალები მისი მოძღვრებით, კრძოვ მისი უკანასკნელი რჩევა-ბრძვებით, რომელიც მან მოგვცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ტრიბუნადან მშვიდობისა და ურთული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში...“

მონტალკაპონე

... გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ყველა გულმოდელი პარტიოტი და მშვიდობის მომხრე არმხრებენ საბჭოთა კავშირის ხალხებს თავიანთ ურცხვე მტკობრიობაში და თავიანთ ურცხვე გადამწყვეტილებაში — დაუცხრომლად იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, როგორც გვიანადვიდა იოსებ ბუხარინის მე სტალინი...“

მონტალკაპონე დემოკრატიული რესპუბლიკის მონტალკაპონე ხალხის დეკლარაცია



პატარა მოთხრობები



უმალესი განათლება

ნიუ-იორკის ბირჟის ორი მაკლერი ცათამბჯენის მესამოცე სართულზე ლიფტიდან ასეთი საუბრით გადადის:

— ეს მოხუცი ლიფტიორი უმალეს სკოლაში სწავლობს.

— რას ამბობ, ჯონ! რაღა დროს მაგისი სწავლაა, ეგ ხომ უნივერსიტეტის პროფესორი იყო!

— დიახ, პროფესორი იყო... მაგრამ პროგრესული აზრებისათვის უნივერსიტეტიდან გამოაგდეს და ახლა ლიფტიორად მოეწყო. ეს არის მაგისი უმალესი სკოლა...

— ესე იგი ჭკუის სასწავლებელი ადგილი!.. ისწავლოს, ისწავლოს, ლიფტით მართლაც ადვილად მისწვდება ჩვენი სინამდვილის სიმაღლეებს.



სასიამოვნო და არასასიამოვნო

ფეხსაცმელების მწმენდავ მოხუც კაცს ფეხსაცმელების გასაწმენდად დამჯდარი ახალგაზრდა მოქალაქე ელაპარაკება.

— რა უცნაურია, სერ, თქვენ ხომ საავადმყოფოს ცნობილი ქირურგი ბრძანდებით!

— დიახ, ქირურგად ვმუშაობდი საავადმყოფოში.

— რა არასასიამოვნო შეხვედრაა, მე იმ საავადმყოფოში ვიწექი და თქვენ ოპერაცია გამიკეთეთ.

— პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრა მეტად სასიამოვნოა.

— რატომ, სერ?!


— იმიტომ, რომ თქვენ ბურჟუა არა ბრძანდებით, ხომ ასეა?

— დიახ, სერ, არა ვარ ბურჟუა.

— ჰოდა, არც მე ვარ მემარჯვენე სოციალისტი...

ადენაურს ადრე გაუგეს

ეკონომიკური
ზინალიტიკა



ადენაურს

ადრე აუღეს

აღლო დოდარის ძმა-ბობოღებმა, —
ბონში

ნანატრი ტახტი დაუდგეს

თვით გერმანიის დასამონებლად!

ადენაურს

ადრეც გაუგეს...

აქვს ფაშისტური ფერის სარჩული, —

ადენაურს

ანდერძს აუგებს

მისივე ხაღბი მრავადტანჯული!

ნოდარ გუაფიძე



ამერიკული დახმარება

ლონდონში კაფეს წინ დგას ორი მშვიერი ინგლისელი უმუშევარი. ერთი მათგანი სიმშლიისაგან ისეა დასუსტებული, რომ მოულოდნელად წაიქცევა.

— რა მოხდა? — ეკითხებიან ცნობისმოყვარე გამვლელები ფეხზე დარჩენილ უმუშევარს.

— ისეთი არაფერი, როგორც ხედავთ მოქალაქე წაიქცა.

— როგორ, რანაირად, თავისით? — კითხულობს ამერიკელი გაეინფლირებული სამხედრო პირი.

— არა, თქვენი დახმარებით... — მიუგებს უმუშევარი.

გ. ივანიშვილი

პოლ ჟანმა ყველაფერი კარგად იცოდა... იცოდა, რომ ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო ამერიკელი ბატონების კარნახით და რეაქციონერი დეპუტატების სალოკი თითების წყალობით. იცოდა, რომ საფრანგეთის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა ასეთი აქტი, როცა პარლამენტი დამნაშავეებს ათავისუფლებს სამშობლოს ლალატისათვის, გამკემლობისათვის.

ათავისუფლებს ყოფილ მინისტრებსა და მალალი თანამდებობის მოხელეებს, რომელნიც ჰიტლერს ეხმარებოდნენ საფრანგეთის დაპყრობა-დარბევაში, რომელთაც გაყიდეს თავისი ქვეყანა, ააწიოკეს და ფაშიზმის საჯიჯგნად აქციეს იგი.

ეს სამარცხვინო აქტი უდანაშაულოდ აცხადებს თვით ცოცხლივ გახრწნილ პეტენსა და თავის დროზე სახრჩობელაზე ჩამოკიდებულ ლავალს, ასობით ყოფილ მინისტრსა და ათასობით მოხელეს, რომელნიც ციხეში სხედან სამშობლოს გაცემისათვის.

პოლ ჟანმა ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილებით საფრანგეთის მოთაწისტო მთავრობა დიდ სამსახურს უწევს ჰიტლერის მემკვიდრე ამერიკელ ბატონებს, კარგად ესმოდა, რომ ამ მოლაღატეთა გათავისუფლებით ციხიდან უშვებდა ფაშიზმის ახალ კადრებს, რომელნიც დაეხმარებიან იანკებს ევროპის დამონებაში. მუსიე ჟანი მაინც დიდად კმაყოფილი იყო, უხაროდა რომ მას წილად ხვდა მოლაღატეთა გათავისუფლების ასეთი საპატიო როლი.


სინდისდამშვიდებული ჰერს მიპყრობილი უაზრო თვალეებით, კარგა ხანს იჯდა და ოცნებობდა. შემდეგ მხიარულად საათს დახედა და წამოხტა. თითქოს გაჩენის დღიდან აქამდე მხოლოდ ამ წუთს ელოდა. პოლ ჟანს ბულონის უბნის საპყრობილეში აგვიანდებოდა.

* * *

ბულონის უბნის საპყრობილე—ეს ის „ციხე-აგარაკია“, რომელიც ამერიკელი ბატონების მითითებით საფრანგეთის მთავრობამ კეთილმოაწყო და შიგ სამშობლოს გამყიდველი ყოფილი მთავრობების ყოფილი წევრები მოათავსა. ახლა მის შესაკრებ დარბაზში „ამნისტიის“ გამტარებელი კომისია ჩამწკრივებულიყო და თავმჯდომარე პოლ ჟანი სათითაოდ ეკითხებოდა გასათავისუფლებელ პატიმრებს:

— მუსიე ეტიენ ფლანდენ, რა დამსახურება მიგიძღვით ჰიტლერის წინაშე?

— მე, ბატონებო, მეხუთე კოლონის აქტიური წევრი გახლდით! მაშინ პრემიერ მინისტრი ვიყავი და მიუნხენის



ხელშეკრულების დადებაში დიდი ზრომა გავწიე. შემდეგ ხომ ვიშის მთავრობის მინისტრიც გახლდით და, აქედან რაც იგულისხმება, თქვენც კარგად იცით!

— კეთილი. თქვენთვის ამერიკიდან ღიაა საპატიმროს კარები! — იუდას ღიმილით უთხრა მას პოლ ჟანმა და ახლასხეებს მიმართა.

— აი, თქვენ კი, მუსიე ჟორჟ ბონე და ჟან იბარნეგარე! რა სამსახური გავწევიათ სამშობლოსათვის ომის დროს?

— მე უშუალოდ მარშალ პეტენს ეხმარებოდი, როცა მაჟინოს ხაზი ჰიტლერს ჩაბარეს და ფაშისტების არმია პარიზში რომ შემოვიდა, ყოველმხრივ ხელს ვუწყობდი...

— მე კი, — წაართვა უცებ სიტყვა ბონეს ჟან იბარნეგარემ, — მაშინვე მიტინგებზე გამოვიდი და ფრანგ ხალხს მოვეუწოდებდი— ჰიტლერს დაეხმარეთ-მეთქი, შემდეგ კი, როგორც მინისტრი, ძალ-ღონეს არა ვზოგავდი ფიურერის სამსახურში, ჩემი სიმართლე შეუძლიათ დაადასტურონ ჰიტლერის გენერლებმა, აი, ბონის მთავრობამ რომ გაათავისუფლა, იმათზე მოგახსენებთ.


— ყოჩაღ, საქებია, ახლაც ასევე შეგიძლიათ განაგრძოთ, — მოუწონა მათ ჟანმა და დანარჩენ მოხელეთა დაკითხვა განაგრძო. მაგიდასთან მიდიოდნენ ათობით და ასობით მოხელეები, რომელნიც ფაშიზმის ერთგულებით თავს იქებდნენ.

გრძელ მაგიდებზე კალმები წრაპინებდა, დგებოდა „უდანაშაულოთა“ გათავისუფლების სიები. მათ „დიდად საქები ღვაწლი და დამსახურება“ აღმოაჩნდათ: ყველა მათგანი ერთმანეთს ეცილებოდა მხატვრულ ფერადებში წარმოედგინა, თუ როგორ ლალატობდა სამშობლოს, როგორ ემსახურებოდა ფაშიზმს, როგორ ყიდდა მშრომელი ფრანგი ხალხის ინტერესებს და როგორ ცდილობდა ჰიტლერის ახლანდელ მემკვიდრეთა გულის მოგებას.

პოლ ჟანი კი მათ თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, ქათინაურებს უძღვნიდა და ახალ სამსახურს პირდებოდა. მის სახეს იუდას ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ თვალეში მაინც დაბნეულობისა და ხალხის რისხვის იღუმალი შიშო უკრთოდა.

ეს იყო ანარეკლი იუდას ღიმილისა და ხალხის რისხვის შიშისა, რაც ერთი წუთითაც არ შორდებოდა ფაშიზმის მულდ-მივ სამსახურში მყოფ ფრანგ ხელისუფალთ იქ, მინისტრთა სავარძლებში.

ზაკსადანი



... საბჭოთა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა სსრკ-ში თანდათან უნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, რომ ზარტია უოველი დონის მიხედვით განმტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-სასჯლო ფლოტს და დახვეწის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამაღლოთ ჩვენი მხადლოფა იმისათვის, რომ განანადგურებელი ზასუნი გავცეთ უოველ ზურგსორს..."

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უშიშროების საბჭოს პრეზიდიუმის მიმართედან.



სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის
 78
 22/14
 53

ს ი ა ნ ბ ი

№ 5 თბილისი მარტი 1953 ს. გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXX. ფასი 2 მან.

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 48. ტელ. 3-10-48.